

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
2003 წლის 16 ივლისის N 2482 რს დადგენილებით

151 კონვენცია

კონვენცია სახელმწიფო სამსახურში დასაქმების პირობების
განსაზღვრის პროცედურების და ორგანიზების უფლებების
დაცვის შესახებ

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა კონფერენციამ, მოწვეული
ქენევაში შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭოს მიერ და 1978
წლის 7 ივნისს შეიკრიბა თავის 64-ე სესიაზე,

გაითვალისწინა რა ასოციაციის თავისუფლებისა და ორგანიზაციის დაცვის შესახებ
1948 წლის კონვენციის, და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოებისა და
ორგანიზაციის უფლების შესახებ 1949 წლის კონვენციისა და მშრომელთა
წარმომადგენლების შესახებ 1971 წლის რეკომენდაციისა და კონვენციის დებულებანი,
აღნიშნა რა, რომ კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების და ორგანიზაციის
უფლების შესახებ 1949 წლის კონვენცია არ მოიცავს სახელმწიფო მოსამსახურეთა
გარკვეულ კატეგორიებს და რომ 1971 წლის კონვენცია და რეკომენდაცია მშრომელთა
წარმომადგენლების შესახებ გამოიყენება წარმოებაში დასაქმებულ მშრომელთა
წარმომადგენლების მიმართ,

გაითვალისწინა რა, ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო სამსახურის საქმიანობის
მნიშვნელოვანი გაფართოება და ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოებსა და
სახელმწიფო მომსახურეთა ორგანიზაციებს შორის ჯანსაღი შრომითი
ურთიერთობების აუცილებლობა,

გაითვალისწინა რა, წევრ სახელმწიფოთა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური
სისტემების დიდი მრავალფეროვნება და მათი პრაქტიკის განსხვავება (კერძოდ,
ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების, ფედერალური
ორგანოების, შტატებისა და პროვინციების ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო
საწარმოებისა და განსხვავებული ტიპის ავტონომიური თუ ნახევრად ავტონომიური
სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი ფუნქციების მიმართ, აგრეთვე ის, რაც ეხება
შრომითი ურთიერთობის ხასიათს),

მხედველობაში მიიღო რა განსაკუთრებული პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება
ბევრ ქვეყანაში კერძო და სახელმწიფო სექტორებში დასაქმებას შორის არსებულ
განსხვავებათა გამო ნებისმიერი საერთაშორისო აქტის გამოყენებისა და განსაზღვრის
სფეროს მიმართ, აგრეთვე ითვალისწინებს რა კოლექტიური მოლაპარაკებების
წარმოების და ორგანიზაციის უფლების შესახებ 1949 წლის კონვენციის შესაბამისი
დებულებების სახელმწიფო მომსახურებთან მიმართებაში გამოყენებასთან
დაკავშირებით წარმოქმნილი განმარტების სირთულეს და მხედველობაში იღებს რა
შენიშვნებს, რომლებიც არაერთგზის ჩამოუყალიბებიათ, შრომის საერთაშორისო
ორგანიზაციების მაკონგრძობელ ორგანოებს იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი
მთავრობა ამ დებულებებს იყენებს იმგვარად, რომ მოცემული კონვენციის გამოყენების
სფეროდან გამოირიცხება სახელმწიფო მომსახურეთა დიდი ჯგუფები,

დაადგინა მიიღოს გაერთიანების თავისუფლების და სახელმწიფო სამსახურში
დასაქმების პირობების განსაზღვრის პროცედურებთან დაკავშირებული მთელი რიგი
წინადადებანი, რაც სესიის დღის წესრიგის მეხუთე პუნქტია,

გადაწყვიტა მისცეს ამ წინადადებებს საერთაშორისო კონვენციის ფორმა, იღებს ათას ცხრაას სამოცდათვრამეტი წლის ოცდაშვიდ ივნისს მოცემულ კონვენციას, რომელსაც შეიძლება ეწოდოს სახელმწიფო სამსახურში შრომითი ურთიერთობების შესახებ 1978 წლის კონვენცია.

კარი I. გამოყენების სფერო და განსაზღვრებები

მუხლი 1

1. მოცემული კონვენცია გამოიყენება ყველა პირის მიმართ, რომელსაც დაიქირავებენ სახელმწიფო ორგანოები, თუ მათ მიმართ არ გამოყენება სხვა საერთაშორისო შრომითი კონვენციების უფრო ხელშემწყობი დებულებები.
2. ეროვნული კანონმდებლობა ან წესები აღგენენ, თუ როგორ უნდა იყოს გამოყენებული მოცემული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიები მაღალ პოსტებზე მომუშავე მოსამსახურეებისადმი, რომელთა ფუნქციები ჩვეულებრივ განიხილება, როგორც პოლოგიკის განსაზღვრასთან ან მართვასთან დაკავშირებული, ან მოსამსახურეებისადმი, რომელთა მოვალეობა აგარებს მკაცრად კონფიდენციალურ ხასიათს.
3. ეროვნული კანონმდებლობა ან წესები, განსაზღვრავენ თუ, როგორ გამოიყენება მოცემული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიები შეიარაღებული ძალების და პოლიციისადმი.

მუხლი 2

მოცემული კონვენციის მიზნებით გერმინი “სახელმწიფო, მოსამსახურე” ნიშნავს პირს ვისაც ეხება ამ კონვენციის I მუხლი

მუხლი 3

მოცემული კონვენციის მიზნებით გერმინი “სახელმწიფო მოსამსახურეთა ორგანიზაცია” ნიშნავს ნებისმიერ ორგანიზაციას, მისი შემადგენლობის მიუხედავად, რომლის მიზანია სახელმწიფო მოსამსახურეთა ინტერესების მხარდაჭერა და დაცვა.

კარი II. ორგანიზაციის შექმნის უფლებათა დაცვა

მუხლი 4

1. სახელმწიფო მოხელეები სარგებლობენ ნებისმიერი დისკრიმინაციული ქმედების საწინააღმდეგო შესაბამისი დაცვით, რომელიც ბლუდავს დასაქმების სფეროში გაერთიანებათა თავისუფლებას.
2. ასეთი დაცვა გამოიყენება კერძოდ ისეთი მოქმედებების მიმართ, რომელთა მიზანია:
 - a) სამუშაოზე სახელმწიფო მოსამსახურეთა მიღება ან მათ მიერ სამუშაოს შენარჩუნება დაუქვემდებარდეს პირობას, რომ ისინი არ შევიდნენ სახელმწიფო მოსამსახურეთა ორგანიზაციაში ან შეწყვიტონ თავიანთი წევრობა მასში.
 - b) სახელმწიფო დათხოვნა ან მისთვის რაიმე სხვა საშუალებით ზიანის მიყენება იმ საფუძველზე, რომ იგი სახელმწიფო მოსამსახურეთა ორგანიზაციის წევრია ან/და მონაწილეობს ასეთი ორგანიზაციის ნორმალურ საქმიანობაში.

მუხლი 5

1. სახელმწიფო მოსამსახურეთა ორგანიზაცია სარგებლობს ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოებისაგან სრული დამოუკიდებლობით.
2. სახელმწიფო მოსამსახურეთა ორგანიზაციები სარგებლობენ სათანადო დაცვით მათი შექმნის, საქმიანობის ან მათი მართვის პროცესში ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების ჩარევის ნებისმიერი აქტის წინააღმდეგ.
3. კერძოდ, მოქმედება, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელობით სახელმწიფო მოსამსახურეთა ორგანიზაციის დაფუძნებას ან მხარი დაუჭიროს სახელმწიფო. მოსამსახურეთა ორგანიზაციას დაფინანსების ან სხვა გზით, რათა ასეთი ორგანიზაცია დაუქვემდებაროს ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოს კონგროლს, მოცემული მუხლის შესაბამისად განიხილება როგორც ჩარევის აქტი.

კარი III. სახელმწიფო მოსამსახურეთა ორგანიზაციებისათვის მიცემული შესაძლებლობანი

მუხლი 6

1. სახელმწიფო მოსამსახურეთა აღიარებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს ეძლევათ ისეთი შესაძლებლობანი, რომლებიც სწრაფად და ეფექტიანად შეასრულებინებს მათ თავიანთ მოვალეობას როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო დროში.
2. ასეთ შესაძლებლობათა მიცემა მიანს არ აყენებს შესაბამისი უწყების ან სამსახურის ეფექტიან მუშაობას.
3. ასეთ შესაძლებლობათა ხასიათი და წრე განისაზღვრება მოცემული კონვენციის მე-7 მუხლში მოხსენებული მეთოდებით ან სხვა შესაბამისი მეთოდებით.

კარი IV. დასაქმების პირობების განსაზღვრის პროცედურები.

მუხლი 7

იქ, სადაც ეს აუცილებელია, ხორციელდება ქვეყნის პირობების შესაბამისი ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ წაახალისონ და ხელი შეუწყონ. დასაქმების პირობების შესახებ ხელისუფლების დაინტერესებული სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო მოსამსახურეთა ორგანიზაციების მოლაპარაკების წარმოების პროცედურის სრულ განვითარებასა და გამოყენებას, ანდა ისეთ სხვა მეთოდებს, რომლებიც სახელმწიფო მოსამსახურეებს საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღონ ამ პირობების განსაზღვრაში.

კარი V. დავების მოწესრიგება.

მუხლი 8

დასაქმების პირობების განსაზღვრასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავის მოწესრიგება ხდება ეროვნული პირობების შესაბამისად მხარეთა მოლაპარაკების გზით ან იმ პროცედურების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, კერძოდ, ისეთი საშუალებებით როგორცაა შუამდგომლობა, დაზავება და არბიტრაჟი, რომლებიც დაინტერესებულ მხარეთა ნდობას იწვევს.

კარი VI. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები.

მუხლი 9

სახელმწიფო მოსამსახურენი, სარგებლობენ ისევე, როგორც სხვა მშრომელები, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს გაერთიანების თავისუფლების ნორმალური განხორციელებისათვის, იმ ერთადერთი პირობით, რომ დაცული იყოს მათი სტატუსითა და შესასრულებელი ფუნქციების ხასიათით განპირობებული მოვალეობანი.

მუხლი 10

მოცემული კონვენციის რატიფიკაციის შესახებ მოცემული დოკუმენტები რეგისტრაციისათვის ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს.

მუხლი 11

1. მოცემული კონვენცია აკავშირებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხოლოდ იმ წევრებს, რომელთა რატიფიკაციის შესახებ დოკუმენტები რეგისტრირებულია გენერალური დირექტორის მიერ.

2. იგი ძალაში შედის თორმეტი თვის შემდეგ რაც გენერალური დირექტორი რეგისტრაციაში გააგარებს ორგანიზაციის ორი წევრის დოკუმენტებს რატიფიკაციის შესახებ.

3. შემდგომში მოცემული კონვენცია ძალაში შედის, ორგანიზაციის ყოველი წევრის მიმართ, რატიფიკაციის შესახებ მისი დოკუმენტის რეგისტრაციის თარიღიდან თორმეტი თვის შემდეგ.

მუხლი 12

1. მოცემული კონვენციის რატიფიცირების მომხდენი ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს შეუძლია მისი თავდაპირველად ძალაში შესვლის მომენტიდან ათწლიანი პერიოდის გასვლს შემდეგ მისი დენონსირება მოახდინოს, დენონსაციის შესახებ აქვს მეშვეობით, რომელსაც გაუგზავნიან შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს და რომელსაც იგი რეგისტრაციაში გააგარებს. დენონსირება ძალაში შედის დენონსაციის შესახებ აქვს რეგისტრაციიდან ერთი წლის შემდეგ.

2. მოცემული კონვენციის რატიფიცირების მომხდენი ორგანიზაციის თითოეული წევრი რომელიც წინამდებარე პუნქტში ნახსენები ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ერთი წლის ვადაში არ გამოიყენებს თავის დენონსაციის უფლებას, რომელიც ამ მუხლითაა გათვალისწინებული, მომდევნო ათი წლის პერიოდისათვის შეზღუდული იქნება და შემდგომში მოცემული კონვენციის დენონსირებას შეძლებს ყოველი ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ მოცემული მუხლით დადგენილი წესით,

მუხლი 13

1. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრს აცნობებს ორგანიზაციის წევრებისაგან მიღებული რატიფიკაციის შესახებ ყველა დოკუმენტის და დენონსაციის შესახებ აქტების რეგისტრაციის თაობაზე.

2. გენერალური დირექტორი აუწყებს რა ორგანიზაციის წევრებს რატიფიკაციის შესახებ, მის მიერ მიღებული II დოკუმენტის რეგისტრაციის თაობაზე მათ ყურადღებას მიაპყრობს მოცემული კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს.

მუხლი 14

შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაეროს ორგანიზაციის წესდების 102 მუხლის შესაბამისად რეგისტრაციისათვის უგზავნის მის მიერ წინამდებარე მუხლების შესაბამისად რაგიფიკაციის შესახებ ყველა დოკუმენტთან და რეგისტრირებული დენონსაციის შესახებ აქტებთან დაკავშირებულ სრულ ინფორმაციას.

მუხლი 15

ყოველთვის, როცა შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭო საჭიროდ მიიჩნევს, იგი გენერალურ კონფერენციას წარუდგენს მოხსენებას მოცემული კონვენციის გამოყენების შესახებ და წყვეტს, შეიგანოს თუ არა კონფერენციის დღის წესრიგში საკითხი მისი სრული თუ ნაწილობრივი გადასინჯვის თაობაზე.

მუხლი 16

1. იმ შემთხვევაში თუ კონფერენცია ამ კონვენციას ნაწილობრივ გადასინჯავს ან მიიღებს ახალს, და თუ ახალი კონვენცია არ გულუსხმობს საპირისპიროს, მაშინ:

ა) ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ახალი, გადასინჯული კონვენციის რაგიფიკაცია ავტომატურად იწვევს 12 მუხლით გათვალისწინებული დებულებების მიუხედავად მოცემული კონვენციის დაუყოვნებლივ დენონსაციას, იმ პირობით, რომ ახალი, გადასინჯული კონვენცია ძალაში შევიდა.

ბ) ახალი, გადასინჯული კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან მოყოლებული მოცემული კონვენცია დახურულია მისი წევრი ორგანიზაციებს მიერ რაგიფიკაციისათვის.

2. მოცემული კონვენცია ყოველ შემთხვევაში ფორმითა და შინაარსით ძალაში რჩება ორგანიზაციის იმ წევრებისათვის. რომლებმაც მოახდინეს მისი რაგიფიკაცია, მაგრამ არ მოახდინეს ახალი გადასინჯული კონვენციის რაგიფიკაცია.

მუხლი 17

მოცემული კონვენციის ინგლისურ და ფრანგულ ტექსტებს თანაბარი ძალა აქვს.